

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი



დოქტორანტურის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არსებულ სადოქტორო პროგრამის განხორციელების წესს.
2. დოქტორანტურა ბიზნესის ადმინისტრირებაში არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესის ადმინისტრირების დარგში სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელი პირობები განსაზღვრულია წინამდებარე დებულებით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## მუხლი 2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილებით ბიზნესის სფეროში;
2. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;
3. ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატის ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მქონე პირს.

## მუხლი 3. დოქტორანტურაში მიღების წესი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

1. კანდიდატის ავტობიოგრაფია;
2. სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის წერილი, რომლითაც დასტურდება მისი მზაობა უხელმძღვანელოს კანდიდატს პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. თანხმობის წერილში, ხელმძღვანელმა უნდა დაასაბუთოს შერჩეული თემის აქტუალობა და მნიშვნელობა. ხელმძღვანელი უნდა იყოს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი;
3. შერჩეული საკვლევი თემის მოკლე ანოტაცია;
4. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით / მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით და მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება ბიზნესის სფეროში;

5. ინგლისური ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. ამასთან, დიპლომის ავთენტურობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
6. გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან, სადაც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია სადოქტორო საკვლევე პროექტის შესახებ.

პროექტის პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება დისკუსია. დისკუსიისას განიხილება პროექტის:

- საკვლევე თემა/პრობლემა და მისი აქტუალურობა
- პრობლემის კომპლექსურობა
- კვლევის მიზანი
- საკვლევე ჰიპოთეზა
- ლიტერატურის მიმოხილვა
- მეთოდოლოგია
- კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი გავლენა კვლევის სფეროზე.

დისკუსიისას შეფასდება სადოქტორო პროგრამის კანდიდატის უნარი უპასუხოს დარგობრივი კომისიის წევრების კითხვებს კომპეტენტურად, არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად.

გასაუბრების შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი პრინციპით თუ რამდენად სრულყოფილად და ნათლადაა წარმოდგენილი შემდეგი კომპონენტები:

1. რამდენად აქტუალურია საკვლევე თემა/პრობლემა ?	0-20
2. რამდენად სწორად არის განსაზღვრული პრობლემა? რამდენად სწორად და სრულად არის განსაზღვრული პრობლემის კომპლექსურობა?	0-20
3. რამდენად სწორად არის განსაზღვრული პროექტის მიზანი და ამოცანები. რამდენად შეესაბამება მიზანი და ამოცანები პრობლემის კომპლექსურობას?	0-12
4. რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული საკვლევე ჰიპოთეზა?	0-12
5. რამდენად სწორად არის შერჩეული ბიბლიოგრაფია (წყაროების სანდოობა და შესაბამისობა პრობლემასთან)? რამდენად ადეკვატურად არის მოცემული პრობლემის შესწავლის მეთოდოლოგია შერჩეულ ბიბლიოგრაფიაში? რამდენად სწორად არის აგებული ლიტერატურის მიმოხილვის რუკა?	0-12

6. რამდენად სწორად არის შერჩეული მეთოდოლოგია ჰიპოთეზის შემოწმების საშუალებას? რამდენად არის განსაზღვრული და სრულად აღწერილი მეთოდოლოგია? რამდენად იძლევა მეთოდოლოგია პრობლემის კომპლექსურად შესწავლის შესაძლებლობას?	0-12
7. რამდენად ლოგიკურია კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი გავლენა კვლევის სფეროზე.	0-12

გამსვლელი ქულის რეიტინგი დგება მისაღები კანდიდატების რაოდენობისა და კონკურსის მიხედვით;

8. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ განცხადებას, რომელიც ეცნობება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;
9. ჩარიცხვიდან 2 თვის განმავლობაში, დოქტორანტი ხელს აწერს ხელშეკრულებას, უნივერსიტეტთან და სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებსა და უფლებებს.

მუხლი 4. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ ბიზნესის ადმინისტრირების კონკრეტულ სფეროში კვლევის გამოცდილება;
2. სამეცნიერო ხელმძღვანელის სალექციო და კვლევითი დატვირთვიდან გამომდინარე დადგინდება თუ რამდენ დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა ხელმძღვანელმა;
3. სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორანტის ჩარიცხვისთანავე უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, დარგის შესაბამისი პრაქტიკოსი მენტორისა და უცხოური უნივერსიტეტის პროფესორ/მკვლევართან თანამშრომლობას;
4. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, თუ თანამდებობის დატოვების შემდეგ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მისი მოწვევის შესახებ;
5. სამეცნიერო ხელმძღვანელის გარდა, დოქტორანტი თანამშრომლობს უცხოელ მოწვეულ პროფესორ/მკვლევართან და ბიზნესის შესაბამისი სფეროს მენტორთან, რომელნიც უწევენ მას კონსულტაციას სადოქტორო საფეხურის ფარგლებში.

მუხლი 5. დოქტორანტურის პროგრამა და დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

1. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს;

2. სწავლისა და კვლევის პროცესში, დოქტორანტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტისა
3. დოქტორანტურაში სწავლის მინიმალური ხანგრძლივობაა 3 (6 სემესტრი) წელი, მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 (10 სემესტრი) წელი;

მუხლი 6. დოქტორანტურაში ჩაბარების ვადები

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებში.

მუხლი 7. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი

1. სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ფაკულტეტი და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;
2. სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტებია:
  - სწავლა
  - სწავლება
  - კვლევა

სავალდებულო მოდულის გარდა, დოქტორანტისთვის შეთავაზებული იქნება არჩევითი მოდული, რომლითაც ის შეძლებს ინდივიდუალური კვლევითი გეგმისთვის საჭირო კომპონენტების შესწავლას.

3. დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით. ინდივიდუალური გეგმა იქმნება კონკრეტული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად, დარგში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად და ახალი ცოდნის შესაქმნელად. გეგმის შედგენისას დოქტორანტი გადის კონსულტაციას დარგის შესაბამისი პრაქტიკოს მენტორთან და უცხოური უნივერსიტეტის პროფესორ/მკვლევარებთან.

მუხლი 8. დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. აქედან სწავლა/სწავლების კომპონენტი შეადგენს 54 კრედიტს, კვლევითი კომპონენტი შეადგენს 126 კრედიტს.

კვლევით კომპონენტს დოქტორანტი ავსებს პროსპექტუსით, კვლევითი სემინარით და სადისერტაციო ნაშრომით.

მუხლი 9. დოქტორანტურის სტატუსის შეჩერება

დოქტორანტის სტატუსის შეჩერება ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მუხლი 10. დოქტორანტურის სტატუსის შეწყვეტა

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება შეუწყდეს სტატუსი:

1. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში;

2. უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებიას;

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომი

1. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის დასკვნით ნაწილს და უნდა ასახავდეს დოქტორანტის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევის შედეგს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შექონდეს ბიზნესის ადმინისტრირების დარგის განვითარებაში;
2. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ, ის უნდა გამოქვეყნდეს ელექტრონული ფორმით. ბეჭდური ფორმა გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატი

1. სადისერტაციო ნაშრომის ზღვრული მოცულობა – 120-200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასონიშანი), დასკვნა – 10-12გვ.; ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა A/4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა - აკადემიკური; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან 1 სმ., ზემოდან 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

1. სადისერტაციო ნაშრომი, სადისერტაციო საბჭოში წარდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 10 სემესტრისა დოქტორანტურაში ჩაბარების შემდეგ;
2. დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა 4 აკინძულ და 1 ელექტრონულ ეგზემპლარად, ფაკულტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
3. დისერტაციას თან ერთვის განმცხადებლის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ თემა მის მიერაა შესრულებული და რომ ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული;
4. დისერტაციის დაცვის პრერეკვიზიტებია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების შესრულება და სადისერტაციო თემის ირგვლივ გამოქვეყნებული ან დასაბეჭდად მიღებული ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია, იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

მუხლი 14. დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ წერილობით დასკვნას ადგენს ხუთი შემფასებელი: სამეცნიერო ხელმძღვანელი, მოწვეული პროფესორ/მკვლევარი უცხოური უნივერსიტეტიდან, მენტორი ბიზნეს სექტორიდან, აკადემიური ხარისხის მქონე ორი რეცენზენტი;

2. წერილობითი დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვისა;
3. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების, შესწორების მიზნით დოქტორანტისთვის უკან დაბრუნების ან დაცვაზე უარის თქმის შესახებ.
4. შესწორების მიზნით დოქტორანტისთვის ნაშრომის უკან დაბრუნების შემთხვევაში, დისერტაცია ხელახლა უნდა იქნეს წარდგენილი 1 სემესტრის განმავლობაში;
5. დაცვაზე დაშვების უარის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომი და შემფასებლების წერილობითი დასკვნები შეინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია, გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

#### მუხლი 15. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ქმნის სადისერტაციო კომისიას;
2. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს მეცნიერების იმ დარგის სულ მცირე სამი წევრისაგან, რა დარგშიც შესრულებულია დისერტაცია;
3. სადისერტაციო კომისიის წევრები უნდა წარმოადგენდნენ მოქმედ აკადემიურ პერსონალს (პროფესორი, საპატიო დოქტორი, ასოცირებული პროფესორი), რომელთა მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო;
4. კომისიაში უნდა შედიოდეს სათათბირო ხმის უფლებით სამეცნიერო ხელმძღვანელი, აგრეთვე, სადისერტაციო კომისიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი (პირები);
5. თავმჯდომარე უნდა იყოს უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორი, რომელიც არ არის ხელმძღვანელი ან შემფასებელი;
6. სადისერტაციო კომისიის წევრები წინასწარ (დაცვამდე) ეცნობიან სადისერტაციო ნაშრომს;

#### მუხლი 16. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე;
2. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის სრული და ასოცირებული პროფესორისაგან, რექტორის ბრძანების საფუძველზე;
3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები, რექტორის ბრძანების საფუძველზე.
4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე, ერთი წლის ვადით;

5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს.

**მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები**

1. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე;
2. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მის სასარგებლოდ ხმა მისცა დამსწრეთა უმრავლესობამ;
3. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
4. სადისერტაციო საბჭო:
  - განსაზღვრავს დისერტაციის დაცვის თარიღს;
  - ამტკიცებს სადისერტაციო კომისიას;
  - სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

**მუხლი 18. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე**

- იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს სემესტრში საჭიროების შემთხვევაში
- საბჭოს შემადგენლობიდან განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიას;
- უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მუხლი 19. სადისერტაციო საბჭოს მდივანი**

- სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
- მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას: აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს, უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
- ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
- ხელმძღვანელობს საბჭოს არქივსა და საქმის წარმოებას;
- კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში.

**მუხლი 20. დისერტაციის დაცვა**

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო. მის მსვლელობასა და შედეგზე უნდა შედგეს საბოლოო ოქმი. დაცვა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ 30 წუთიანი მოხსენებით თემის წარმოდგენას – პრეზენტაციას;
2. მოხსენებას მოსდევს სამეცნიერო შეკითხვა-დისკუსია. დაცვა არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.



- ერთი კომისიის წინაშე ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ერთი დისერტაციის დაცვა.

**მუხლი 21. დისერტაციისა და დოქტორანტის შეფასება**

- დისერტაციის შეფასება განისაზღვრება შემფასებელთა დასკვნების საფუძველზე;
- დაცვა ფასდება სადისერტაციო კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე;
- შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების 5 ბალიანი სისტემა, რომლითაც კომისიის თითოეული წევრი აფასებს დისერტაციას;
- დისერტაცია ითვლება დაცულად, თუკი მას დისერტანტის მიერ მიღებული ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმალურად შესაძლო ქულათა ჯამის 60%-ს და მეტს. დისერტანტის მიერ მიღებული ქულათა ჯამის მიხედვით:

**ა) ფრიადი (*summa cum laude*)** – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების **91% და მეტი**

**ბ) ძალან კარგი – (*magna cum laude*)** შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების **81-90%**;

**გ) კარგი (*cum laude*)** - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების **71-80%**;

**დ) საშუალო (*bene*)** – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების **61-70%**;

**ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*)** – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

**ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*)** შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების **41-50%**;

**ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*)** შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების **40% და ნაკლები**;

**მუხლი 22. ხარისხის მინიჭება**

- დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო;
- დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომის გაცემის შემდეგ პირი უფლებამოსილია, იწოდებოდეს მეცნიერებათა დოქტორად;
- დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ;
- დიპლომი შეიცავს დისერტაციის სახელწოდებას, დაცვის თარიღსა და საერთო შეფასებას;
- დიპლომს ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის რექტორი. დიპლომი მოწმდება უნივერსიტეტის ბეჭდით;

6. დიპლომის მოწმობის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

**მუხლი 23. დისერტაციის გამოქვეყნება**

1. დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვიდან 1 თვის განმავლობაში მიაწოდოს ნაშრომის ბეჭდური ვერსია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, უზრუნველყოს ნაშრომის ელექტრონული ვერსიის ვებგვერდზე განთავსება. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი;
2. გამოქვეყნებული დისერტაცია წარმოადგენს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ინტელექტუალურ საკუთრებას.

**მუხლი 24. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა**

1. დოქტორის აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში.